ახალი
# განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული"



17-24 დეკემბერი 2015 წელი №23 №8105 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

85-ე წლის ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი



2015 წლის 20 დეკემბერს ტარიელ შარითაშვილს 55 წელი შეუსრულდებოდა გვ7.

მოზარდებზე ზრუნვის ეგიდით გვ3.

კასპის ა(ა)იპ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს დაემატა ახალი წიგნები: გვ5.



იაკობ გოგებაშვილი — 175 გვ5.



პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვეს გვ2.



მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია გვ2.



შეხვედრა საჯარო მოხელეებთან გვ3.

„ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობია" გვ4.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

2015 წელს ალაიანის ადმინის-ტრაციულ ერთეულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები გვ2.



კოდისწყაროს ადმინის-ტრაციული ერთეულის ინფრას-ტრუქტურული სამუშაოები გვ2.

გამოიწერეთ! გამოიწერეთ! გამოიწერეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით თავის მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო.

2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გსურთ...

გააცანით თანატოლებს თქვენი კურსდამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ სკოლა-მერხს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ ეს გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი. გამოიწერეთ!

## 2015 წელს ალაიანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს 1 045 693 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა, რომლის დანიშნულებაც



სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებაა - მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულზე გადანაწილდა.

ალაიანის ადმინისტრაციული ერთეული დაფინანსდა 87 280 ლარით, რომლითაც 5 პროექ-



ტი განხორციელდა და სარგებელი სამი სოფლის 1 329 ოჯახმა ანუ 4 307 მოსახლემ მიიღო. განსახორციელებელი პროექტები პრიორიტეტებისდა მიხედვით სოფლის კრებებზე მოსახლეობის მიერ იქნა შერჩეული.

ღირებულების სამუშაოები შესრულა შ.პ.ს. “შენკომპლექსმა”;

სოფელ საქადაგიანოში, სვანების ქვედა დასახლებაში სარიტუალო მომსახურების სახლის სარემონტო სამუშაოების დასრულება. 11 000 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს. ”პაპიკო”-მ;

სოფელ საქადაგიანოში, ოსების დასახლებაში სასმელი წყლის ავზის შეძენა და მონტაჟი, მოსახლეობის თანამონაწილეობით. 1 500 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს. “ემ ბი სი გორგია”-მ;

სოფელ ხიდისყურში სარიტუალო მომსახურების სახლის ინვენტარის შეძენა. 24522 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს. “შენკომპლექსმა”;



სოფელ ალაიანის სპორტული დარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. 35 317 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა შპს “იო”-მ;

სოფელ საქადაგიანოში აზერბაიჯანელ მოსახლეთა დასახლებისთვის სასმელი წყლის სისტემაზე შიდა დაქსელვის სამუშაოების შესრულება. 14 941 ლარის

გასულ წელს, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მოასფალტდა სოფელ საქადაგიანოს და ხიდისყურის მისასვლელი და შიდა გზები. ასევე სრულად იქნა რეაბილიტირებული სოფელ ალაიანის საბავშვო ბაღის შენობის ნაწილი, რომლის დარჩენილ ნაწილზე ამჟამად მიმდინარეობს სამუშაობი.



## პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვეს

კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის 10 ქულოსანი (9 კლასი წარჩინებით დაამთავრეს) მოსწავლეები, საქართველოს მთავრობამ პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები



ქალაქ გორში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ გურამ მაჭარაშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა გადასცეს.

წარჩინებულ მოსწავლეებს: ანი ბერიძეს, მიხეილ ელკანოვს და დავით სტეფნაძეს (კასპის №1 საჯარო სკოლა), ანი ოთარაშვილს (კასპის №2 საჯარო სკოლა), მარიამ ნიაურს (მეტეხის №1 საჯარო სკოლა), მარია კახიშვილს და გიორგი ქამხაძეს (ზ/ხანდაკის საჯარო სკოლა), მარიამ თაბუაშვილს (დოესის საჯარო სკოლა), სოფიკო ბიჭიკაშვილს და ივანე ჯანანაშვილს (ხოვლის საჯარო სკოლა) კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მ/შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა მადლობა გადაუხადეს კარგი სწავლისათვის და წარმატებები უსურვეს.

კასპის მუნიციპალიტეტი კიდევ ერთხელ ულოცავს წარმატებულ მოსწავლეებს დამსახურებულ საჩუქარს.

## მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია

კასპში, კოსტავას ქუჩის №37-ში მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.



შენობის სახურავი შეიცვლება მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით, არსებული ფანჯრები მეტალოპლასტმასით, დაიგება ახალი იატაკი, მოეწყობა შეკიდული ჭერი და ცენტრალური გათბობა, კიბის უჯრედი,

*დასასრული გვ5.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

## კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის ინფრასტრუქტურული სამუშაოები

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს 1 045 693 ლარი გამო-



ეყო. აღნიშნული თანხა, რომლის დანიშნულებაც სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებაა - მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულზე გადანაწილდა.

კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეული დაფინანსდა 58 935



ლარით, რომლითაც 11 პროექტი განხორციელდა და სარგებელი ხუთი სოფლის 792 ოჯახმა ანუ 1852 მოსახლემ მიიღო. განსახორციელებელი პროექტები პრიორიტეტებისდა მიხედვით, სოფლის



კრებებზე მოსახლეობის მიერ იქნა შერჩეული.

სოფელი კოდისწყარო:

1. სარიტუალო მომსახურების სახლისათვის მაგიდების და სკამების შეძენა. 6 373 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;

სოფელი ზემო რენე:

1. მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მოწყობა; 6 534 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;
2. შიდა გზების მოხრეშვა. 4 313 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;

სოფელი ქვემო რენე:

1. ფეხბურთის მოედნის შემოღობვის დასრულება. 5 466 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;
2. შიდა გზების მოხრეშვა. 4 586 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;

სოფელი ყარაფილა:

1. სოფლის შიდა გზების მოსწორება-მოხრეშვა. 5 632 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “აგროტერმინალმა” შეასრულა;

სოფელი სარიბარი:

1. სარიტუალო მომსახურების ფარდულის კეთილმოწყობის და შემოღობვის სამუშაოების დასრულება. 3 000 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. “პაპიკომ” შეასრულა;
2. სოფლის მისასვლელი გზის მოსწორე

*დასასრული გვ3.

## შეხვედრა საჯარო მოხელეებთან

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში ასოციაცია "ქალი და განვითარება" შეხვდა საჯარო მოხელეებს, საკრებულოს დეპუტატებს, მედიისა და ქალთა წარმომადგენლებს.

შეხვედრა პროექტის "გენდერული თანასწორობა ქალთა წინსვლისათვის" ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე დისკუსია იყო ქალთა გენდერული თანასწორობის, სახელისუფლებო ორგანოებში გენდერული კვოტის, ძალაუფლების ტიპების, არჩევნების, ამომრჩევლის, საარჩევნო და ქართული საარჩევნო სისტემის და საქართველოში საარჩევნო პროცედურების შესახებ.






აღნიშნულ საკითხებზე ისაუბრა ასოციაცია "ქალი და განვითარება"-ს თავმჯდომარემ ფატი ბუხრიკიძემ, ორგანიზაციის წარმომადგენელმა ანი ბალიაშვილმა.

შეხვედრა დამსწრეთა კითხვა-პასუხისა და გამოცდილების გაზიარების ჩართულობით მიმდინარეობდა.

## კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის ინფრასტრუქტურული სამუშაოები

*დასასრული

ბა-მოხრეშვა. 1 739 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. "აგროტერმინალმა" შეასრულა;

სოფელი ზადიაანთკარი: 1. სოფლის შიდა გზების მოსწორება-მოხრეშვა და სანიაღვრეების მოწყობა, 4894 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. "აგროტერმინალმა" შეასრულა;

სოფელი ნიგოზა: 1. კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოების დასრულება. 7883 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. "პაპიკო"-მ შეასრულა;

სოფელი ჩობალაური: 1. სარიტუალო მომსახურების სახლის გადახურვის დასრულება და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. 8 515 ლარის სამუშაოები შ.პ.ს. "პაპიკო"-მ შეასრულა;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დანიშნულება სოფლად არსებული პრობლემების



მოგვარებაა, გამოყოფილი თანხის რაოდენობის ფარგლებში. განხორციელებული პროექტებით სარგებელს უწინარესად ადგილობრივი მოსახლეობა იღებს, რაც მათ სოციალური პირობების გაუმჯობესებას ემსახურება. კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს პროექტის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზაში და ჩობალაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია სატუმბი სადგურის მოწყობით და სოფელ სამთავისში არსებული სატუმბი სადგურის რეკონსტრუქციისა და გამრიცხველიანების სამუშაოები, რომელსაც შ.პ.ს "ნდს მშენებლობა" ახორციელებს და რომლის ღირებულება 289 770 ლარია. პროექტის დასრულება სასმელი წყლით უზრუნველყოფს სოფლების: ჩობალაურის, ნიგოზას, ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობას - რომელთაც ამ მხრივ პრობლემა აქვთ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

*მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, საავტორო კროსვორდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.*

## მოზარდებზე ზრუნვის ეგიდით

მოზარდებისათვის კლასგარეშე ცოდნის ამაღლება და მათში დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმია, რომელსაც ეფუძნება კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) მუშაობა. ამიტომაც მოსწავლეთა სახლის სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იღრმავებენ სკოლებში მიღებულ ცოდნას, იმდიდრებენ ლექსიკას, ეცნობიან ქვეყნის ისტორიულ წარსულს, აწმყოს, ტრადიციებსა და ქართული ფოლკლორული



ზეპირსიტყვიერების ჟანრებს...

— მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შექმნილი შემოქმედებითი წრეებისა და უცხო ენების შემსწავლელი კაბინეტების აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი რაიონის ცხოვრებაში, — საუბრობს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, — მათი ინიციატივითა და ორგანიზებით ხშირად ეწყობა ღონისძიებები, სადაც სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული ბავშვები დგამენ თეატრალიზებულ წარმოდგენებს, მართავენ ლიტერატურულ საღამოებსა და შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან. მართალია, მათ მიერ დადგმული თეატრალიზებული წარმოდგენა ანდა სცენაზე გამოსვლა ზოგჯერ დაუხვეწავია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთ გამოსვლებში იხვეწებიან მოსწავლეები, მეტიც, ხდება მათი აღზრდა და ჩამოყალიბება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის "პატარა მსახიობების" ლუკა სპანდერაშვილის, ანზორ დალაქიშვილის, მიხეილ სამხარაძის, კობა გასიტაშვილის, ნიკა კობაიძის გამოსვლა დღემდე ახსოვთ

რომელიც საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა, გაიხსენეს და პატივი მიაგეს ჩვენს თანარაიონელ, სოხუმში დაცემულ ტარიელ შარიფაშვილს. მოკლედ, რაიონში არ ჩატარებულა რაიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რომ მოსწავლეთა სახლის ბავშვებს არ მიეღოთ მონაწილეობა.





თანატოლებსა და მათ მშობლებს, დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს სასირეთში მოწყობილ დიდ ღონისძიებაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მოღვაწის, გენერალ მაზნიაშვილის ხსოვნის დღეს. მოსწავლეთა სახლის ბავშვებმა და მათმა მასწავლებლებმა ძალიან მოინდომეს, იაქტიურეს და დაუვიწყარი ღონისძიება გამართეს 27 სექტემბერს,

— ახლა ჩვენს აღსაზრდელებს ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი დაუდგათ, — განაცხადა მოსწავლეთა სახლის მეთოდისტმა, ნორჩ შემოქმედთა წრის ხელმძღვანელმა მარინა ნაგელიშვილმა, — მოგეხსენებათ, რომ წლის ბოლოა და ბავშვებმა აქტიურად დაიწყეს მზადება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციისათვის. ბავშვებმა უკვე მოასწრეს და მოამზადეს ნაშრომები, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი მათი ნააზრევი, როგორც საგნობრივი თემატიკიდან, ასევე ყველა იმ საჭირბოროტო სოციალურ საკითხებიდან, რაც აწუხებს დღევანდელ საზოგადოებას. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი მოსწავლეების ნაშრომები ახლაც მიიქცევს კონფერენციის ჟიურის ყურადღებას და კასპელი ბავშვები პირველი, მეორე ხარისხის დიპლომებითა და მადლობის ფურცლებით დაბრუნდებიან თბილისიდან.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს პარტნიორული ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტის, განსაკუთრებით კი ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, აგრეთვე მუზეუმებთან, ბიბლიოთეკასთან. ტარდება ერთობლივი ღონისძიებები, შეხვედრები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებითა და ძალისხმევით მოსწავლეთა სახლს ექნება განახლებული და კეთილმოწყობილი შენობა, ამის გარანტიას კი იძლევა ის ფაქტი, რომ მიმდინარეობს ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

# ,,ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობია,,

**24 წლიანი ინტერვალის შემდეგ, 2015 წლის 17 ოქტომბერს გაიხსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია. კასპობის დღესასწაულზე ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ. ბუნებრივად დაიბადა კითხვები: რა ხდებოდა მუზეუმში ამ წლებში, რატომ გაჭირდა მუდმივი ექსპოზიციის მოწყობა, ვინ დაადგა თავი ამ მნიშვნელოვან საქმეს, ვისი მადლობლები უნდა ვიყოთ, ვინ დაგვეხმარა? ყველა ამ კითხვაზე გვიპასუხა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა.**

1992 წელს აიღეს საბჭოთა პერიოდის ექსპოზიცია და დაისახა გეგმები ახალი ექსპოზიციის მოსაწყობად, მაგრამ იმ დროისათვის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მთელი კოლექტივი, მაშინდელი დირექტორის გიორგი ხორგუაშვილის ხელმძღვანელობით გადართული იყო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი ფილიალის - ლამისყანის სოფლის ისტორიის მუზეუმის განახლებული ექსპოზიციის მოწყობის სამუშაოებზე. ამ კუთხით აქტიურობდნენ ლიანა ბალხამიშვილი, მარინე თათრიშვილი, თინა მაისურაძე, იორამ იმედაშვილი, ნინო შოთნიაშვილი, თამარ ჩიტაშვილი...

მუზეუმელთა აქტიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და 1992 წელს, გურამიშვილობის დღესასწაულზე ლამისყანის განახლებული მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. სხვათაშორის ეს იყო გურამიშვილობის ბოლო აღნიშვნა. შემდეგ ქვეყანაში დაისადგურა უშუქობამ, უფულობამ, ისედაც მიზერულ ხელფასებს 8-9 თვეში ერთხელ ვიღებდით...

გამონათება იყო 1996 წელი, როდესაც ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის 120 წლისთავი. ხოვლეში სახალხო დღესასწაულ ჯავახიშვილობის დროს განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეექსპოზიცია. კვლავ, ჩვენი მუზეუმის თანამშრომლების აქტიურობით.

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის აქტიური მუშაობის წლები იყო 2006 - 2007, როდესაც მოხდა ჩვენი მუზეუმის ფილიალის გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის შენობის აღდგენა-რესტავრაცია, მაშინდელი სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების მოწადინებით. რაც შეეხება ექსპოზიციის მოწყობას, კვლავ ჩვენი მუზეუმის თანამშრომელთა (იორამ იმედაშვილი, თინა მაისურაძე, მარინე თათრიშვილი, ლიანა ბალხამიშვილი და სხვები) ინტენსიური მუშაობით მოხერხდა 2 თვეში მუზეუმის გახსნა.

სასირეთის მუზეუმის გახსნის წარმატებული პროექტის სანაცვლოდ საჩუქრად მივიღეთ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მე-2-ე სართულის 2 დარბაზის კაპიტალური რემონტი, 1 რკინის კარები მე-2-ე სართულზე შესასვლელი. კი იყო სხვა დაპირებები, მაგრამ აგვისტოს ომის გამო, თუ მისი მომიზეზებით სხვა არაფერი შემატებია ჩვენს მუზეუმს, გარდა სახურავის ერთი ნაწილის გამოცვლისა.

უკეთესობისაკენ იწყო ცვლილება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნელა მაგრამ მეთოდურად. 2012 წლის დეკემბერში გამოიცვალა მუზეუმის სახურავის დაზიანებული მეორე ნახევარი, საიდანაც ჩამოსულმა წყალმა ძალიან დააზიანა ქართული დარბაზი.

2013 წელს დამზადდა მუზეუმის ექსპოზიციისათვის საგამოფენო ინვენტარი, რომელიც არცთუ იაფი დაჯდა. 2014 წელს ჩატარდა შენობის იატაკის მოხეხვა-გაწმენდითი სამუშაოები. 2015 წელს მუზეუმის შენობაში დამონტაჟდა სისტემური გათბობა, ცენტრალური გათბობა მუზეუმს კომუნისტების ეპოქაშიც კი არ ჰქონდა.

ჩვენი სტაჟიანი თანამშრომლების გამოცდილების მიუხედავად, მაინც გაგვიჭირდა ექსპოზიციაზე მარტო ჩვენი ძალებით მუშაობა. კარგი, გამოცდილი პროფესიონალი ექსპოზიციონერის მოწვევა საერთო საქმეს ნამდვილად წაადგებოდა, რადგან არქეოლოგიური დარბაზის მოწყობა სპეციფიკურ სირთულეს წარმოადგენდა - მუზეუმში პროფესიონალი არქეოლოგი არ გვყავს. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ მოწვეული სპეციალისტი ძვირი სიამოვნებაა და ისევ ჩვენი ძალებით შევეჭიდეთ ამ მძიმე საქმეს; იორამ იმედაშვილის, მარინე თათრიშვილის, თინა მაისურაძის მონაწილეობით გავამზადეთ ექსპოზიციის მოწყობის სამონტაჟო ფურცლები. შემდეგ ჩამოყალიბდა ექსპოზიციის გეგმა. გადაირჩა მუზეუმის ფონდებში დაცული უამრავი არქეოლოგიური ექსპონატიდან 200-მდე ნივთი, მოხდა მათი გაწმენდა, (გარეცხვა, როგორც ცივ წყალში ისე სხვადასხვა მჟავაში, რაც უხიფათო ნამდვილად არ ყოფილა.) საგულდაგულოდ გაიწმინდა თითოეული ქოთანი, ეკლესიის ნანგრევებიდან გადარჩენილი თითოეული ქვა, იაქტიურეს თინა მაისურაძემ, ლანა თათანაშვილმა, ნელი ნიაზაშვილმა, მაია იორდანიძემ, ნანა მერებაშვილმა, ნანა მიდელაშვილმა, ნანა მელაძემ, ანზორ მანძულაშვილმა.



მუზეუმში მიმდინარე მუშაობისას, ჩვენდა საბედნიეროდ ბევრი მეგობარი გამოგვიჩნდა, რომლებიც უანგაროდ დაგვეხმარნენ. მაგ. ბატონი უშანგი მოსიაშვილი, რომელმაც დაგვიმზადა კერამიკის დასალაგებელი ხარისხიანი სადგამები, ექსპონატების ბარიერის სადგამები. კასპელმა ინდმეწარმე გია ნიპარიშვილმა, არაერთხელ მოგვაწოდა საკუთარი მაღაზიიდან საჭირო დეტალები. მხარში გვედგნენ ხელოსანი გია ხვთისიაშვილი, ჟურნალისტი ვაჟა სიმონიშვილი, რომელმაც ეტიკეტები ტექნიკურად დაგვიმზადა, მეწარმე ძმები ჯოჯიშვილები და სხვები. ბოდიშით თუ ვინმე გამომრჩა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს ეროვნული მუზეუმი, კერძოდ ჩვენი თანარაიონელი ვატო შატბერაშვილი, ერეკლე ქორიძე, მამუკა ქაფიანიძე, გიორგი ლაღიძე, ამირან ბიჭაშვილი, მარიკა თორდია, თეა კინწურაშვილი, სალომე ახალაძე, ნიკა ჩადუნელი, ნინო ჯანაშვილი, გიორგი გოგოჭური, თათია აღაპიშვილი, რეზო კიკვიძე. მათი დახმარებით მოხერხდა ძლიერ დაზიანებული უძველესი ხოვლეგორის საცხოვრებელი კომპლექსის რესტავრაცია; ფონდებში დაცული ძველი იარაღის ჯერ გაწმენდითი შემდეგ კი სარესტავრაციო სამუშაოები.

მაინც გამოვყოფდი ვატო შატბერაშვილს - დიდი გიორგი შატბერაშვილის ძმისშვილს, რომელიც მართლაც რომ ჩვენი, მუზეუმის მეგობარია. იგი დაგვეხმარა ექსპონატების ორენოვანი ეტიკეტების მომზადებაში.

2015 წლის 15 ოქტომბერს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიცია შეიძლება არ გახსნილიყო, რომ არა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა გოჩიტაშვილის თანადგომა. მან წლების განმავლობაში, ზუსტად იცოდა და იცის ჩვენი მუზეუმის პრობლემების ყოველი წვრილმანი. არ შეიძლება დავივიწყოთ მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, რომელიც ყოველ თათბირზე უკმაყოფილო იყო მუშაობის ტემპით, თუმც თვითონ ყველაზე კარგად უწყოდა ხშირად, რა სიძნელეების გადალახვა გვიწევდა. საერთო მონდომებამ შედეგი გამოიღო. ახლა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ყოველდღე იღებს დამთვალიერებლებს, ექსპოზიციაზე თავს იწონებენ დიონისეს ქანდაკება, სასირეთის დისკო, ხევსურული მეომრის აღჭურვილობა და სხვა უნიკალური ექსპონატები, თუმცა, როგორც იტყვიან "ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობია," ასე რომ გელოდებით მუზეუმში.

კასპის მუზეუმში ინახება ელინისტური და რომაული ხანის, ბრინჯაოსაგან დამზადებული



ორი იმპორტირებული ნივთი – დიონისეს ქანდაკება და სამტყუჩა სურა – ოინოხოია. დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება / შემთხვევითი აღმოჩენა, სოფ. კოდისწყარო/ წარმოადგენს ქალურად ნაზი და მოხდენილი პროპორციების შიშველი მამაკაცის გამოსახულებას, რომლის თმის ვარცხნილობა, სუროს ფოთლებიანი ბაფთა, ყურებთან დაკიდებული ყურძნის მტევნები; აგრეთვე ტანის პოზა დიონისეს იკონოგრაფიისათვისაა დამახასიათებელი. ქანდაკება ძველი წელთაღრიცხვის III–II საუკუნეებში უნდა იყოს დამზადებული.



კასპის მუზეუმში დაცულია: სოფელ გოსციბეში აღმოჩენილი II_ III საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ბალთა

ბრინჯაოს ჭვირული ბალთა სწორკუთხაა. მისი ჩარჩო სპირალებითაა შემკული, კუთხეებში კი კოპებია დატანილი. ჩარჩოს შიგნით მარცხნიდან მარჯვნივ მიმავალი ცხენია გამოსახული, დარჩენილ არეს კი აფურული ორნამენტი ავსებს.





## კასპის ა(ა)იპ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს დაემატა ახალი წიგნები:

* ჯონ ბოინი - ბიჭი ზოლიან პიჟამაში;
2.ემი იტერანტა - წყლის საიდუმლო;
* ელიფ შაფაქი - სიყვარულის ორმოცი წესი;
* ჩარლზ ბუკოვსკი - მაკულატურა;
* გილან ფლინი - გაუჩინარებული ქალი;
* გეილ ფორმანი - (ლიბერთინს) სად წავიდა;
* ვერონიკა როთი - განსხვავებული;
* გრიგოლ აბაშიძე - 2 ტომი;
* ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი;
* ემილი ბრონტე - ქარიშხლიანი უღელტეხილი;
* ერიხ მარია რემარკი - სამი მეგობარი;
*. ნოდარ დუმბაძე - 3 ტ.; 4 ტ.; 5ტ.;
* ჰარუკ მურაკამი - ნორვეგიული ტყე;
* კაულო კოელიო - ადიულტერი;
* სტივენ ჩბოსკი - მარტოსულობის უპირატესობანი;
ჯონ გრინი - ალასკას ძიება;
ჯონ გრინი - ქაღალდის ქალაქები;
პულმანი - ოქროს კომპასი;
სტიგ ლარსონი - გოგონა, რომელიც ცეცხლს ეთამაშებოდა;
სტიგ ლარსონი - გოგონა, რომელმაც კრაზანების ბუდე დაანგრია.

**სიახლე**

## კასპის ა(ა)იპ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს დაემატა

*საბავშვო ბიბლია,
*რევაზ ინანიშვილი "მოთხრობები",
*ნოდარ დუმბაძე "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი",
*იენ მაკიუენი "ცემენტის ბაღი",
*ერიკ ემანუელ შმიტი "ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი",
*თეა თოფურია "ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე",
*კოეკ ფარისი "ბიძია რიმუსის ზღაპრები",
*ჯანი როდარი "ხაზარულა", "ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები", "ჯელსომინო", "ცრუთა ქვეყანაში" და სხვა მოთხრობები,
*ასტრიდ ლინდგრენი "მაწანწალა რასმუსი",
ტუცე იანსონი "უჩინარი ბავშვი" და სხვა მოთხრობები.

კასპის ბიბლიოთეკა.

# იაკობ გოგებაშვილი — 175

ქალაქ კასპის ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა საინტერესო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დედა ენის შემქმნელის იაკობ გოგებაშვილის 175 წლისთავის იუბილეს. საბავშვო განყოფილებას მკითხველი არასოდეს ელევა, მაგრამ ღონისძიების დღეს ბიბლიოთეკის პატარა დარბაზი სტუმრებს ძლივს იტევდა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ბავშვები სჭარბობდნენ... შეხვედრის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს, მკითხველებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციცინო ქენქაძემ, რომელმაც თავის მოკლე მიმოხილვაში



ყურადღება გაამახვილა ერის დიდი მოამაგის, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მწერლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის ისტორიულ მნიშვნელობასა და ზოგადად მის ღვაწლსა და დამსახურებაზე ქართველი ხალხის წინაშე.

მწერლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის დეტალებზე დაწვრილებით ისაუბრეს თავიაანთ გამოსვლებში რუსუდან აბუაშვილმა და მარინა შალუტაშვილმა. შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს ახალი წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გააცნო ირმა გზირიშვილმა.

— მინდა ჩვენს მოსწავლეებს, პატარა



მკითხველებს სიამოვნებით ვაუწყო, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ შემოთავაზებული გვაქვს სერია " მოსწავლის ბიბლიოთეკა", რომელიც 50-ზე მეტ წიგნს ითვლის და მთლიანად განკუთვნილია ბავშვებისათვის, — განაცხადა ბიბლიოთეკის დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, — სწორედ იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც უკვე კარგად იციან წერაც და კითხვაც, ერთი სიტყვით, ბავშვებს აქვთ დიდი არჩევანი, შემოთავაზებული მრავალფეროვანი საბავშვო ლიტერატურა კი, ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას.



ღონისძიების ბოლოს გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია. ამასთან დაკავშირებით თავიანთი შეხედულებები და სურვილები გამოთქვეს მოსწავლეებმა ანა ტატიურმა, ნატალია ოდიშვილმა, ნიკოლოზ თხინვალელმა, მზია ოდიშვილმა, ქრისტინე მაისურაძემ, ციცო ოდიშვილმა. ბავშვებმა ისარგებლეს ამ შესანიშნავი შემთხვევით და ახალი წიგნებიც გამოიწერეს.

კასპის ბიბლიოთეკა.

## მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია

*დასასრული

ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემები. მოპირკეთდება შენობის კედლები და სველი წერტილები, შეიღებება ჭერი, იატაკი და კედლები, გაკეთდება რკინის კარები.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს "მშენკომპლექსი" ახორციელებს და მასზე 75 280 ლარი დაიხარჯება.

შენობის რეაბილიტაცია სამუშაო პირობებს გაუუმჯობესებს პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

## კასპის საფეხბურთო სკოლა — ერთი სეზონის სამ შეჯიბრებაზე ცხრა გუნდით

კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა (დირექტორი ავთანდილ ჯალალი) 2015-16 წლების შემოდგომა-გაზაფხულის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატების ჭაბუკთა გათამაშებების სამ რეგიონულ პირველობაზე წარდგენილია ცხრა გუნდით.

თბილისის ელიტლიგის ჩემპიონატში გამოდის 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდი "განთიადი" (მწვრთნელი მალხაზ ჯალალი). მან უკვე გამართა თორმეტი ტურის მატჩი, ხოლო მეცამეტეს, პირველი წრის ბოლო თამაშს, 19 დეკემბერს გამართავს ახმეტის "ბახტრიონთან".

შიდა ქართლის ჩემპიონატში სკოლის ოთხი გუნდი ჩაება:

2002-03 წლებში დაბადებულთა გუნდი (მწვრთნელი ზაზა ჯალალი); 2004-05-წლიანების ორი გუნდი — "განთიადი-1" (მწვრთნელი ზაზა ჯალალი), "განთიადი-2" (მწვრთნელი დავით კობაური) და ყველაზე უმცროსი ასაკისა, 2006-07 წლებში დაბადებულებისა (მწვრთნელი ავთანდილ ჯალალი).

სამხრეთ ოსეთის რეგიონულ პირველობაზე მონაწილეობს, ასევე, ოთხი გუნდი:

2001-02 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ორი გუნდი — "სამთავისი" (მწვრთნელი დავით კობაური) და "განთიადი" (მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი), 2003-04 წლებში დაბადებულთა (მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი) და 1999-2000-წლიანებისა (მწვრთნელი მალხაზ ჯალალი).

ამრიგად, ოთხი მწვრთნელი ორ-ორ გუნდს გაიყვანს მოედნებზე, ხოლო თვითონ სკოლის დირექტორი ყველაზე ნორჩებს დამოძღვრავს საფეხბურთო ანაბანაში.

## "გენერალი" რომ გენერლობდეს

შარშანდელი წარმატებული გამოსვლის შემდეგ კასპის ფუტსალის გუნდი "გენერალი" კვლავ მონაწილეობს საქართველოს ბიზნესჩემპიონთა უმაღლეს ლიგაში. სუპერლიგა — ბ-ში კასპელებმა პირველი თამაში ჭიათურის გუნდთან ფრედ ითამაშეს (3:3) და... ამის შემდეგ დაიწყო მარცხიანი სერია: თბილისის გუნდთან (დანაშაულის პრევენციის ცენტრი) თავიდანვე თითქოს უიმედოდ ჩამორჩნენ ანგარიშში, მერე მაინც მოახერხეს ოთხი გოლის გატანა, მაგრამ სათამაშო დრო ალარ ეყოთ ანგარიშის გასათანაბრებლად და მატჩი დათმეს (5:6). "ვივუსჯისთან" საკმაოდ დაძაბული თამაში ჰქონდათ, უდიდესი უპირატესობის მიუხედავად საფეხბურთო იღბალმა მეტოქეს გაუღიმა და მათ ხუთ გოლს მხოლოდ ორით უპასუხეს (2:5). აი, მეოთხე ტურში კი ბათუმის "ახპიურთან" ფუტსალისათვის საკმაოდ იშვიათი ანგარიში დაფიქსირდა — ზღვისპირელებმა 1:0-ზე გაიმარჯვეს. კასპელებმა მატჩის მიწურულს ორი პენალტი ვერ გაიტანეს (!) და ნანატრი გამარჯვება ხელიდან გაუშვეს.

"გენერალს" მომდევნო მატჩი 20 დეკემბერს ექნება თბილისის "პალერმოსთან", მაგრამ შეძლებს კი გამარჯვებას?! პროგრამა-მინიმუმი რომ შეასრულოს და 8-გუნდეულში მოხვდეს, ეს უნდა შეძლოს.

... წარუმატებელი მდგომარეობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი "გენერალი" მიმდინარე სეზონის დასაწყისშივე რიგ პრობლემებს აწყდება, რაც ცალკე საუბრისა და განსჯის თემაა (ამის შესახებ — მოგვიანებით).

ა. კალანდაძე.

გახდით ჩვენი მკითხველი!

# ... მთავარი იყო "ხილთა ქება"

შემოდგომის მიწურულს, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოახერხეს და საშემოდგომო ზეიმი გამართეს კასპის №3 საბავშვო ბაღის (გამგე თეა ქუტაშვილი) აღსაზრდელებმა. პატარებთან /4-5 წლიანი ბავშვები/ ერთად ზეიმისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ მასწავლებლები და აღმზრდელები, მშობლები...





— გვინდოდა დღესასწაული ორგანიზებული, დინამიური ყოფილიყო, ყველა ბავშვს გამოეჩინა თავი, — საუბრობს ჯგუფის აღმზრდელი ხათუნა მერებაშვილი, — ამიტომ წინასწარ გავამზადეთ პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო სცენარი, რა თქმა უნდა, როლებიც გავუნაწილეთ ბავშვებს. ღონისძიების მომზადებაში ჩართული იყო აღმზრდელის



თანაშემწე მანანა პაპუაშვილი, ფსიქოლოგი ელენე შარიქაძე, მეთოდისტი ლალი დონდუაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ლაურა ხასიევა, ერთი სიტყვით, დავდგით პატარა თეატრალიზებული წარმოდგენა "შემოდგომა სოფელში".

ბავშვებისათვის შესაფერისი და საინტერესო სცენარით დადგმული წარმოდგენა კიდევ უფრო სახალისო, საყურებლად ლამაზი გახადა შემოდგომის ფერებით მორთულმა და დამშვენებულმა დარბაზმა, იქ გამოფენილმა სოფლის დეკორაციამ ყველას მოწონება დაიმსახურა, რას არ ნახავდით ამ "არაჩვეულებრივ გამოფენაზე", ყურძნის მტევნებითა და ხილით დახუნძლულ პაწაწინა გოდრებს, კალათებს, ბოსტნეულითა თუ ათასნაირი სანოვაგით შევსებულ ბეღელს, ესე იგი, ბაღის აღმზრდელებმა და ბავშვებმა შექმნეს შემოდგომის სოფლის იმიტაცია, თუმცა, წამიერად თავს ნამდვილად წარმოიდგენდით შემოდგომის სოფელში, სადაც რთველია, იკრიფება ხილი და ყურძენი, იხარშება საჩურჩხელე თათარა...

— რამდენიმე ოჯახი საგულდაგულოდ მოვიარეთ, ჩვენი ბავშვების აღმზრდელმა ხათუნა მერებაშვილმა გვთხოვა მოგვეძებნა ოჯახში შემორჩენილი საყოფაცხოვრებო ნივთები, ჰოდა, ვიპოვეთ კიდეც ერთი ასეთი კარგად შემონახული ძველებური ქვაბი, რომელშიც ადრე თათარას ადუღებდნენ. გვინდოდა ბავშვებისათვის გვეჩვენებინა ჩურჩხელის ამოვლების პროცესი, — გვესაუბრება პატარა მარიამ მაისურაძის დედა სოფო დემურიშვილი, — საბედნიეროდ, ყველაფერი გამოგვივიდა, ბავშვებმა ძალიან იხალისეს, როდესაც სპეციალურად ზეიმზე მოწვეულმა ბებომ /ელიკო მერებაშვილი/ ტკბილი თათარა მოადუღა, თანაც ულამაზესი ჩურჩხელები ამოავლო.

და მაინც, ყველაზე საინტერესო და ემოციური იყო ბავშვების გამოსვლა მშობლებისა და თანატოლების წინაშე. შემოდგომისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გიორგი მიქუტიშვილმა და ნინო ცქიტიშვილმა, ტარიელ მაისურაძემ და სანდრო ნიპარიშვილმა, საბა მელაძემ და ანდრია გიგავამ, ზუკა ბერიაშვილმა და სანდრო მიდელაშვილმა, გიორგი შაბურიშვილმა და ზუკა ბარნოვმა. ლიკა ლომიძემ და სალომე დიასამიძემ წარმოადგინეს მონტაჟი "პაწია მეგობრები", მთავარი მაინც "ხილთა ქება" იყო, სადაც თავიანთი როლები შესანიშნავად გაითამაშეს პატარებმა: საბა ორბელაშვილმა, ლედი გუგულაშვილმა, დათუნა მამულაშვილმა, ვარდიკო ობგაიძემ, ზაქარია ალაპიშვილმა, იაკობ სუსუნიაშვილმა. მერე კი ყველას წინაშე თავი მოიწონეს გიორგი ტყეშელაშვილმა, სალომე გოჭოშვილმა, ანასტასია დათაშვილმა და ჯაბა მაჭარაშვილმა, რომლებმაც წარმოადგინეს პატარებისათვის კარგად ცნობილი მონტაჟი "ბაჭიები ბოსტანში". აქტივისტმა აღსაზრდელებმა მარიამ მაისურაძემ და ელენე კუსრაშვილმა კი იმით დაამახსოვრეს თავი სტუმრებს, რომ მათ ძალიან კარგად შეასრულეს წამყვანის როლი. აი, ასე ხალისიანად ჩაატარეს ბავშვებმა და მათმა მასწავლებლებმა შემოდგომის გაცილების ზეიმი.

# ფარა, ფორა და ფორმა ფავორიტი ფალავნისათვის



ფარა: 2015 წლის განმავლობაში მან, ჩვენმა რჩეულმა, ქართული ჭიდაობის ტურნირებზე თხუთმეტამდე ფინალური შეხვედრა ჩაატარა და თითქმის ყველაში გაიმარჯვა. ამისათვის სხვადასხვა სახის ჯილდოები და ფულადი პრემიები ირგუნა. თანაც, როგორც აბსოლუტურ პირველობათა ფალავანი, იმდენი ყოჩით (ცხვრით) დააჯილდოვეს, ნამდვილად ფარას გაიჩენდა, ყველასათვის თავი რომ მოეყარა, მოსავლელად მწყემსის დაქირავებაც დასჭირდებოდა.

ფორა: იტალიური ტერმინი "ფორა" რაიმე უპირატესობის მიცემას ნიშნავს სუსტი მოწინააღმდეგისათვის სპორტის სათამაშო სახეობებში: ბილიარდში, ჭადრაკში, შაშში ... ჭიდაობაში ასეთი რამ არ ხდება. აბა, ჭიდაობაში, სუსტი როგორ იქნება ის მოწინააღმდეგე, ვინც ფინალურ ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს!

იგი, ჩვენი რჩეული, იმდენად ძლიერად გამოიყურებოდა წლევანდელ შეჯიბრებებში, დანარჩენ მეტოქეებს იმდენად აღემატებოდა საერთო ფიზიკური გამძლეობითა და ღონით, მათთვის წინასწარ რაიმე ფორის მიცემა ნამდვილად არაფრად ულირდა, საკუთარი შესაძლებლობისა ისე სჯეროდა, ნებით გაცემულ უპირატესობას მაინც გადაწონიდა.

ფორმა: მისთვის, ჩვენი რჩეულისთვის, უმთავრესია, მუდამ იცავდეს სპორტულ რეჟიმს, თვითდისციპლინას და დღენიადაგ იმყოფებოდეს ფიზიკური მზაობის კონდიციაზე, მწვერვალზე, პიკზე, ანუ სტაბილურად ინარჩუნებდეს და ავითარებდეს სპორტულ ფორმას! გაგეგონებათ, მოულოდნელი მარცხისას მავან სპორტსმენს უკბილო არგუმენტით გაამართლებენ ხოლმე, — ეჰ, ფორმაში არ იყოო!.. არა, ის, ჩვენი რჩეული, მართლაც, ქართველი მოჭიდავის ეტალონია, ტანბრგე ვაჟკაცია. მას თვალსაამოდ ამშვენებს ქართული საჭიდაო ჩოხა და ღირსია ეროვნული სპორტული სამოსის მორგება-ტარებისა.

ფავორიტი: 25 წლის ბექა ბერძენიშვილის (დაბადებულია 1990 წლის 3 აგვისტოს) ქება ვინმემ გადამეტებულად რომ არ მიიჩნიოს, გაგაცნობთ (ან — შეგახსენებთ) 2015 წლის განმავლობაში მის მიერ მოპოვებულ ზოგიერთ მიღწევას.

იგი, ჩვენი რჩეული, პირველადგილოსანი გახდა: ივნისში — სოფელ მეტეხში, 13 ივლისს — სოფელ სამთავისში ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის ტურნირზე, 18 ივლისს — კავთისხევში, 25 ივლისს — ქალაქ კასპში გიორგი მერებაშვილის ხსოვნის ტურნირზე, 28 ივლისს — სოფელ ლამისყანაში გოგლა რამაზაშვილის ხსოვნის ტურნირზე; 16 აგვისტოს პირველობა მოიგო ქარელის რაიონის სოფელ ფცაში ბერუაშვილების მემორიალზე; სექტემბერში გაიმარჯვა არჩილ ჩოხელის საერთაშორისო ტურნირზე (სამბისტთა შორის), ხოლო შუა ნოემბერში პირველად მოსინჯა ძალები მსოფლიო პირველობაზე ჭიდაობა სამბოში, რომელიც ამ სახეობის ისტორიაში პირველად ჩატარდა აფრიკის კონტინენტზე, მაროკოს დედაქალაქში და ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

ფალავანი: ქართველი მოჭიდავეები, ვისაც კი გული ერჩის და ფალავნობაზე ოცნებობს, შუა დეკემბერში დედაქალაქში შეიკრიბებიან წლევანდელი შიდა უმთავრესი შეჯიბრებისათვის. ისინი ერთმანეთს გაეპაექრებიან 2015 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად (გამარჯვებული ოროთახიანი ბინის გასაღებით დასაჩუქრდება, პრიზიორები — სოლიდური ფულადი თანხებით...).

მათ შორის, ვინც ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლენ და მხოლოდ გამარჯვებულნი გაითამაშებენ სანუკვარ ფალავნობას, იქნება ჩვენებური მძიმეწონოსანი მოჭიდავეც.

***

საქართველოს ფალავნობა კასპის რაიონის წარმომადგენლებმა ბოლოჟამს 21 წლის წინ მოიპოვეს (1994 წელს ეს მოახერხა აწგანსვენებულმა ვანო გამხიტაშვილმა).

როგორ, რაიონში ფალავნები აღარ იზრდებიან?!

დროა უსიამო ნავსის გატეხვისა. დროა საქართველოს ფალავნობისა.

***

საქართველოს ფალავნობის ტიტულის მოსაპოვებლად კიდევ ორი კასპელი მოჭიდავე გამოვა: 80 კგ-ში კახა მამულაშვილი და გიორგი კაციაშვილი..

ა კალანდაძე

სურათზე: ბექა ბერძენიშვილი.

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.
შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.



# ტარიელ შარიფაშვილი

ტარიელ შარიფაშვილი დაიბადა 1960 წლის 20 დეკემბერს სოფელ ზემო ხანდაკში. 1977 წელს დაამთავრა ზემო ხანდაკის საშუალო სკოლა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, სატრანსპორტო-საექსპლუატაციო კანტორაში, თბილისის საწარმოო საავეჯო გაერთიანებაში.

1979-80 წლებში მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპროექტო განყოფილებაში ტექნიკოსად, შემდეგ კი — თელიანის კოლმეურნეობაში იურისკონსულტად.

1991 წლის 5 აპრილს დაარსდა ეროვნული გვარდიის კასპის მე-4 ასეული, რომელიც შემდეგ ბატალიონად გადაკეთდა. ტარიელ შარიფაშვილი გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო. პარალელურად სწავლას განაგრძობდა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1992 წლის 7 იანვარს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით რწმუნებულად კასპის რაიონში.

1992 წლის 7 თებერვლიდან რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ტარიელ შარიფაშვილი — კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის კოლეგიის გადაწყვეტილებით იმავე წლის მარტში დამტკიცდა კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის დაცვის დროს გამართულ ბრძოლაში მტრის ტყვიამ განგმირა შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცი, კასპის რაიონის გამგებელი, გვარდიის პოლკოვნიკი ტარიელ ვალერიანის ძე შარიფაშვილი.

ტარიელ შარიფაშვილის ხანმოკლე ცხოვრება, მისი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობა ჩინებული მაგალითია იმისა, თუ რა ამოუწურავია ქართველი ერის შესაძლებლობები, რა მდიდარია ჩვენი ხალხი ჭეშმარიტი ტალანტებით, რა ულევია ჩვენში სამშობლოსათვის თავდადების რწმენა და სურვილი.

მთელი თავისი ენერგია და უნარი ტარიელ შარიფაშვილმა მოახმარა რეგულარული ქართული ჯარის შექმნის საქმეს, შეიარაღებული ძალების განვითარებას, კასპის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებასა და ცხოვრების ნორმალური რიტმის შენარჩუნებას, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განმტკიცებას.

განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის გვარდიის კასპის ბატალიონის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. სწორედ მისი მეთაურობის დროს დაიმკვიდრა ბატალიონმა ის სახელი და ავტორიტეტი, რითაც გახდა ცნობილი მთელ შეიარაღებულ ძალებში და რესპუბლიკაში.

მოულოდნელად, უდროოდ წავიდა ჩვენგან ბრწყინვალე მამულიშვილი, ახალგაზრდა ქართული ჯარის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე ტარიელ შარიფაშვილი, რომლის სახელი და ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის ხსოვნაში, თითოეული ჩვენთაგანისა და თანარაიონელის გულში.

## 2015 წლის 20 დეკემბერს ტარიელ შარიფაშვილს 55 წელი შეუსრულდებოდა

### წინასიტყვაობის მაგიერ

ის, ვინც ილიაზე ფიქრისას საქართველოზე არ ფიქრობს, ის, ვინც მატერიალური გაჭირვების გამო მხოლოდ საკუთარ, კერძო მომავლის გეგმებს აწყობს, ის, ვისაც მიაჩნია, რომ სულიერების აღორძინების გარეშე შეიძლება წინ წასვლა, ვერასოდეს გაიგებს საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

რამდენმა თაობამ წაიღო საიქიოში დარდი საქართველოს დამოუკიდებლობის ვერ აღდგენის გამო. რამდენი დრო, ენერგია, თავდადება და სიცოცხლე შეეწირა ყველაზე მთავარის — თავისუფლების მოპოვების ყოვლისმომცველ სურვილს.

მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ღრმა იატაკქვეშეთში აერთიანებდა ნამდვილ ქართველებს, ყველაზე დიდ ოპტიმისტ პატრიოტსაც უჭირდა თავისუფალი საქართველოს წარმოდგენა. მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ერთი წუთითაც არ ტოვებდათ შიში, რომ დიდი იმპერიები ვერ დათმობდნენ "გემრიელ ლუკმას," ხოლო, როცა ბრძოლა იწყება, მრავალ დამნაშავეს შეიძლება უდანაშაულოც მიჰყვეს, დროში გავრცობილი ბრძოლა კი ყველაზე ძნელი მოსაგებია.

რამდენ მოლოდინს იტევდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

კიდევ კარგი, სამშობლოს სიყვარული ჯიუტია და მძლეთამძლე.

### ტარიელ შარიფაშვილი

მრავალთაგან განსხვავებით ტარიელ შარიფაშვილს ჰქონდა მტკიცე შეგნება იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსახურების ბევრი გზა არსებობს და თითოეული მთავარი და ერთადერთია.

მან იცოდა, რომ ბედნიერება არ არის ბევრი სახლი (ქალაქში, ზღვაზე, მთაში), ბარაქიანი საბანკო ანგარიშები (ურყევ ვალუტაში), გავლენიანი "მეგობრები," საჩვენებელი კოლექციები: იარაღების, ძაღლების, ანკესების ... და საერთოდ, საჩვენებელი ცხოვრება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ყველაფერი არაბუნებრივი. მატერიალურ კეთილდღეობას ამოფარებული მედროვეები ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ მასთან თავს, თუმც რატომ, ამას ვერ ხვდებოდნენ. ისე კი ყველა სიკეთეს იმსახურებდა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობას, სამშობლოს მსახურება-სიყვარულს, ღირსეულ, ვაჟკაცურ ცხოვრებას გულისხმობდა და საერთოდ ბუნებრივი იყო მოქმედებით, მსახურებით, პოზიციით.

პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან უყვარდა ისტორიული წიგნები მეფეებზე, რაინდებზე, ქართველების გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე — ეს რა ნამდვილი მხედართმთავარივით ლაპარაკობს მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იჯდა. გმირი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ის უკვე გამგებელი იყო და ეს სინამდვილე განსხვავებულ ასპექტში გვაჩვენებდა მის სახეს.

მაშინ ნამდვილი ომი იყო უშუქობით, უგაზობით, უშაქრობით ... თუმც, პურს კასპიდან ეზიდებოდნენ გორში, ქარელში, ხაშურში. სახელმწიფო მეთაურის აპარატში, რომ გაიგეს კასპელი ვიყავი პირველი ეს მკითხეს - "კასპში მართლა თეთრი პური ცხვებაო? აქ დატვირთვა "მართლა თეთრზე" მოდიოდა ქვეტექსტი კი ასეთი გახლდათ "თეთრი პური თბილისში არა გვაქვს და თქვენ დედაქალაქზე კარგი პური გქონიათო?!"

რა შრომა, გარჯა და თავდადება უჯდებოდა ტარიელ შარიფაშვილს იმ პურით მომარაგება, მარტო მან იცოდა. ბატალიონსაც პატრონობდა, თუმც იმ დროს ის უფრო პოპულარული ამბავი იყო შარიფაშვილის ჯარისკაცები როგორ ვერ სარგებლობდნენ ომის კანონით და უალაფოდ ბრუნდებოდნენ სახლში.

შინაგანი დისციპლინით იგი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, მაგრამ შორს იყო ასკეტიზმისაგან. რამდენად უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს / ჩვენ ვინც ვიცნობდით მას პირადად/ პოეტურის გაგება შეეძლო, მაგრამ არ იყო კაეშანს მიცემული კაცი. იგი კეთილი, თავისი ხალხის წარსულით და ღირსეულ მხედართმთავართა ისტორიით დაინტერესებული და მოხიბლული ვაჟკაცი გახლდათ.

მან იცოდა გაზეთის ფასი, მნიშვნელობა, და მართლაც ღირსეულად ედგა გვერდში რედაქციას. გაზეთი რომ გამოდის და სკოლაში სწავლა არ ჩერდება ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისო — ხშირად მომისმენია მისგან. იმ უშუქობაში გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა და როგორც სამხედრო ჟურნალისტებმა თქვეს მაშინდელი "განთიადის" მასალებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია უახლესი ისტორიის შენახვას. ტარიელ შარიფაშვილის თანადგომით გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციული შენიშვნები თუ ინტერვიუები დღეს უკვე ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტებია.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამგეობის შენობის წინ დაგვპირდა "- თუ არ მოვკვდი გაზეთის გავრცელების პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებო ..." — ისეთი მხნე იყო, ძლიერი, სიცოცხლით სავსე მის სიკვდილს როგორ წარმოვიდგენდით, როგორ ვიფიქრებდით, როგორ დავუშვებდით...

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, მისთვის საქართველოს ჯარისკაცობა პროფესია არ იყო, ჯარისკაცობა მისი ბედისწერა გახლდათ. მის გარშემო მყოფთ (ვინ იცის, ზოგმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო) გვიზიდავდა სიალალის განუმეორებელი ხიბლი. იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ყალბს, მოგონილს, ნიღაბისმიერ ურთიერთობებს, მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს, მართალს.

ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ უფერული და საშუალო მონაცემების სუბიექტთა მაღალ პიროვნებებად წარმოსახვა რომ შეგვიძლია ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხერხი უადგილოა. ტარიელ შარიფაშვილი ომის თაობის რეალური წარმომადგენელია, შესაბამისი სიმამაცით, უდრეკელობით, ტრაგიზმით. იგი იმ ქართველ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც განგება ფართო სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს, მათ კი შესწევთ ძალა თავი დააღწიონ იმ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციალიზმს უწოდებენ. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, უნდა სწორად გავიგოთ, რომ პროვინციალიზმში დასახლებულ პუნქტს კი არ ვგულისხმობთ, არამედ აზროვნების სტილსა და მანერას.

დარწმუნებული ვართ, ტარიელ შარიფაშვილის ხასიათის მრავალი საინტერესო რამ ჩვენთვის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩა და ახალი აღმოჩენებიც აღარ გველის, მაგრამ ერთი ფაქტია, ასეთი ვაჟკაცების სიკვდილით ძალიან ბევრი აკლდება ეროვნულ სულს.

... ტარიელი კი ჩაქრა ისე, როგორც დელგმაში გატანილი ჩირაღდანი.

**ნანა მერებაშვილი.**

# "კეხურა" გილოცავთ ბარბარობას!














შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

"კეხურა"

## გილოცავთ!



ჩემს საყვარელ შვილს დავით თინიკაშვილს ვულოცავ 20 წლის იუბილეს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ წარმატებას.

დედა.

„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად.

დატოვეთ თქვენი კვალი მატიანეში!

---

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

## ხსოვნა

### კახა (ალექსანდრე) კახიშვილი



ტკივილიანი, სევდითა და მწუხარებით აღსავსე 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ჩვენო კახა, ჩვენო ძვირფასო ადამიანო, ჯერაც ვერ ვაცნობიერებთ, ეს განშორება მუდმივია თუ ყველაფერი დროებითია, მაგრამ ვაი, რომ ამქვეყნიური დროისთვის მუდმივია, გვეიმედება იმქვეყნიურის, მაგრამ რა ძნელი გადასატანია უშენობა...

ჩვენი ოჯახის იმედო, ჩვენო კახა, 67 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობამ დაგრია ხელი, ახლაც ყურში ჩაგვესმის შენი სევდიანი ხმა, მე აღარაფერი მეშველება, განწირული ვარო...

არადა, როგორ გინდოდა სიცოცხლე, იბრძოდი, მაგრამ ვერ დავამარცხეთ უკურნებელი სენი, წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი, განცდა. ძალიან გვაკლიხარ კახა, გვენატრები, ახლა მხოლოდ წარსულის მოგონებებით ვიქარვებთ შენი გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას. ძალიან დააკლდი შენს დიდ ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს, რძლებსა და საახლობლოს, მეგობრებს. ჩვენო კახა, შენთვის ვლოცულობთ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი და სპეტაკი სული.

ოჯახი.

## გამოგვეხმაურეთ!

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიციით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ. თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა თუ გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი."

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

**მოიხსენე, უფალო, სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრჰყვენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა.**

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გამგეობის თანამშრომელს არიკო გიგოლაშვილს დედის

თინა გიგოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გამგეობის თანამშრომელს ქეთინო დავლაშერიძეს სიძის

გოგა დვალიშვილის

გარდაცვალბის გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოგა დვალიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს ნანა ბაინდურაშვილს შვილის და თამთა დვალიშვილს ძმის

გოგა დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ბაინდურაშვილს შვილის და თამთა დვალიშვილს ძმის

გოგა დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებს ნანა ბაინდურაშვილს შვილის, თამთა დვალიშვილს ძმის

გოგა დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებენ თეონა დავლაშერიძეს მეუღლის, ელისო დილიმაშვილს სიძის

გოგა დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, და გახდით ჩვენი მკითხველი!

---

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76